საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე I

იოანე I, ქართლის პირველი მამამთავარი (ეპისკოპოსი) IV ს. 20–60-იან წლებში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, მირიან მეფის თხოვნით იმპ. კონსტანტინემ ქართლში გამოგზავნა „იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი", ხოლო ლეონტი მროველის ცნობით: „წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი". ქართლში წამოსულებმა მონათლეს მირიან მეფე, დედოფალი ნანა, მათი სახლობა, დიდებულები და „ყოველი ერი". ი. I-მა უფლის „სამჭუალნი და ხურონი განძი", რ-იც კონსტანტინემ გამოატანა, ერუშეთს ჩაიტანა, ხოლო „ფიცარნი იგი უფლისანი" მანგლისში დატოვა, სადაც ეკლესიის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. მისი ზრუნვით აღუმართავთ სალოცავი ჯვრები; მონაწილეობა მიუღია მცხეთის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბებასა და წმ. ნინოსთან ერთად მთის მოსახლეობის ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევაში.

ი. I, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" თანახმად, მეფე ბაკურის დროს გარდაიცვალა და მის შემდეგ ეპისკოპოსად იაკობი დაჯდა.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; „მოქცევა" ქართლისაჲ", შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თ. მარგველაშვილი